ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე
ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი
გიორგი ბეგიაშვილი– კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.03.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/13

შეკითხვა:
„გთხოვთ, დასაბუთებული მოტივაციით მაცნობოთ, არის თუ არა სავალდებულო სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს მოთხოვნების დაცვა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრისათვის, იმ პირობებში, როდესაც იგი არ წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით მიღებულ (გამოცემულ) მრავალჯერადი ქცევის წესს, ვინაიდან იგი ამ დრომდე არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
როგორც თქვენთვის ცნობილია, ცალკეული პროფესიისათვის არსებული ეთიკის წესები და ნორმები მოქმედებს მხოლოდ ნორმატიული აქტების სახით, მათ შორისაა ისეთი პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მსგავსად წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს".

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტი: „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა."

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს რეკომენდაციის არსს და საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია კომპეტენტურია გასცეს პასუხი. რეკომენდაცია შეიძლება იყოს:

1. ნორმის განმარტება.

2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე.

41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სარეკომენდაციო საკითხებს, ვინაიდან ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემის წესი განსაზღვრულია მხოლოდ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მიხედვით. ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა არ ეხება ჩამონათვალში აღნიშნულ საკითხებს. ეს არის სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, რომელიც ეხება კონკრეტული მარეგულირებელი წესების - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სავალდებულო ძალას და არა ადვოკატის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევას.

შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა არ შედის ადვოკატთა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

გადაწყვეტილება:

რეკომენდაციის გაცემა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სავალდებულო ძალის შესახებ არ შედის ადვოკატთა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, ეთიკის კომისია, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ გასცემს რეკომენდაციას აღნიშნულ საკითხზე.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/